1977/4-2/21 2 09032021

1977/4-2/21
09-03-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია 2010-2020 წლებში სამუშაო ადგილზე დაშავებულ და დაღუპულ პირთა რაოდენობის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილი სახით, შესაბამისი წლების მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030118417301421

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3983 **19 / მარტი / 2021 წ.**

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბ-ნ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2021 წლის 9 მარტის N1977/4-2/21 წერილის პასუხად, დანართის სახით წარმოგიდგენთ სტატისტიკურ ინფორმაციას 2010-2020 წლებში სამუშაო ადგილზე დაშავებულ და დაღუპულ პირთა რაოდენობის შესახებ.

ამასთან, გაცნობებთ, რომ 2010-2017 წლების საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების უშუალო წყაროს წარმოადგენს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. 2018 წლის მონაცემების წყარო კი გახლავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ 170-ე და 240-ე მუხლების შესაბამისად ახორციელებს კანონის მიზნებიდან გამომდინარე ყველა სისხლისსამართლებრივი შემთხვევის აღრიცხვას.

ხოლო 2019-2020 წლების მონაცემები წარმოადგენს შრომის ინსპექციის მიერ აღრიცხულ ინფორმაციას სამუშაო ადგილზე მომხდარი უბედური შემთხვევების შესახებ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე (მუხლი 16, პ.4).

იხ. დანართი: 1 ფაილი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე